



**შეიქმნა**  
**სამსახური**

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16  
ტელ: +995 (32) 226 11 42, +995 (32) 226 11 16  
ელ. ფოსტა: info@rs.ge  
ვებ საიტი: www.rs.ge

11533-21-03-2-202202091600

N 21-03/11533



09/02/2022

მის.: ქ. თბილისი, [redacted]

სსიპ შეიქმნა სამსახურში 2022 წლის 20 იანვარს თქვენ მიერ წარმოდგენილ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნასთან (რეგისტრაციის ნომერი: 8838/21-11) დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეიქმნა სამსახური პირის მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილია გამოსცეს წინასწარი გადაწყვეტილება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით ამ კოდექსით და საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებების თაობაზე. ამავე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომ - ინსტრუქცია) №I-15<sup>1</sup> დანართით დადგენილი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის შევსების წესის მიხედვით, დაინტერესებულმა პირმა მოთხოვნის III გრაფაში ნათლად და სრულად უნდა მიუთითოს განსახორციელებელი ან განხორციელებული კონკრეტული ოპერაციის შინაარსი და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გადაწყვეტილება დაეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც წარმოდგენილი იქნება დაინტერესებული პირის მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი და გარემოება სრულად და სწორად უნდა

იყოს წარმოდგენილი. ფაქტები და გარემოებები წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ ითვლება, თუ რომელიმე მათგანის წარმოდგენლობის ან არასრულად წარდგენის შემთხვევაში წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაში განმცხადებლის მიერ დასმულ საკითხზე წინასწარი გადაწყვეტილება სხვა შინაარსით გამოიციმდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრის მიზნით, გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- 1) [redacted] (შემდგომ - კომპანია) საქმიანობის დეტალური აღწერა, მათ შორის, კომპანიის მიერ რა ქმედებები სრულდება მოცემული საქმიანობის ფარგლებში და რა გარიგებები ფორმდება;
- 2) ვინ წარმოადგენს [redacted] ს მიერ გაწეული მომსახურების მიმღებს;
- 3) რა წარმოადგენს მომსახურების მიმღებთან დადებული ხელშეკრულების საგანს;
- 4) კომპანიის მთლიან შემოსავალში რა წილი უჭირავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების და მხარდაჭერის საქმიანობიდან მიღებულ ანაზღაურებას;
- 5) კომპანიის საქმიანობისთვის რა კვალიფიკაციის და რამდენი დაქირავებული პირი ჰყავს [redacted];
- 6) კომპანიის მთლიან ხარჯში რა წილი უჭირავს დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასების ხარჯს;
- 7) რა ტიპის ძირითად საშუალებებს იყენებს კომპანია თავის საქმიანობაში;
- 8) დეტალურად აღწერეთ, კომპანიის საქმიანობის შედეგად, [redacted] მიერ კომპიუტერისთვის განსაზღვრული რა მოქცევის ან ამოცანის შესრულების ინსტრუქციის შემგველი კომპიუტერული კოდების დაწერა ხორციელდება;
- 9) მე-8 კითხვის გათვალისწინებით, რა პროდუქტს ქმნის [redacted] ხორციელდება თუ არა პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე მისი რეალიზაცია და რა სფეროში ხდება ამ პროდუქტის გამოყენება.

გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია, რომ ინსტრუქციის №I-15<sup>1</sup> დანართით დადგენილი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის შეესების წესის შესაბამისად, მოთხოვნის IV გრაფაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული კითხვები, რომლებიც უკავშირდება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრას.

თქვენ მიერ წარმოდგენილ მოთხოვნაში დასმული კითხვები არ შეესაბამება ინსტრუქციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, გთხოვთ დააზუსტოთ კითხვები, რომელზეც გსურთ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება.

ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, წინამდებარე წერილით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა უზრუნველყოთ 15 სამუშაო დღის

განმავლობაში. ამასთან, ხარვეზის აღმოფხვრამდე ჩერდება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადის დინება.

პატივისცემით,

დინარა ჩუბინიძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

